პროლეტარიელნო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქ. სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო.

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

პარასკევი, 17 სექტემბერი, 1943 წ. № 195 (6820). ფასი 20 კაპ.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ცენტრალური ფრონტის ჯარებმა, რომლებიც განაგრძობენ შეტევას, დღეს, 15 სექტემბერს, ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს რკინიგზის დიდი კვანძი და ქალაქი **ნეჟინი**—გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი კიევისაკენ მიმავალ გზებზე.

ნეჟინისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ჩერნიახოვსკის**, გენერალ-მაიორ პ. მ. **კოზლოვის** ჯარებმა, სატანკო ჯარების გენერალ-ლეიტენანტ **კორჩაგინის** გვარდიელმა ტანკისტებმა და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **რუდენკოს** მფრინავებმა.

განსაკუთრებით თავი გამოიჩინეს:

გენერალ-მაიორ **გოლოსოვის** კონოტოპის 280-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **შკრილიოვის** ბახმაჩის 132-ე მსროლელმა დივიზიამ, პოლკოვნიკ **მაქსიმოვის** გვარდიის 24-ე მექანიზებულმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **არტამონოვის** გვარდიის 25-ე მექანიზებულმა ბრიგადამ, გენერალ-მაიორ **ბარინოვის** გვარდიის სევსკის 26-ე მექანიზებულმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **სილოვის** გვარდიის 57-ე სატანკო ბრიგადამ, პოლკოვნიკ **კრუპსკის** 299-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, პოლკოვნიკ **ივანოვის** 286-ე გამანადგურებელმა საავიაციო დივიზიამ.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად გვარდიის მე-7 მექანიზებულ კორპუსს, გვარდიის 24-ე მექანიზებულ ბრიგადას, გვარდიის 25-ე მექანიზებულ ბრიგადას, გვარდიის 57-ე სატანკო ბრიგადას, 299-ე მოიერიშე საავიაციო დივიზიას და 286-ე გამანადგურებელ საავიაციო დივიზიას, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ნეჟინის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „ნეჟინის“ სახელწოდება და ამიერიდან ეს შენაერთები იწოდებოდნენ:

გვარდიის ნეჟინის მე-7 მექანიზებული კორპუსი,
გვარდიის ნეჟინის 24-ე მექანიზებული ბრიგადა,
გვარდიის ნეჟინის 25-ე მექანიზებული ბრიგადა,
გვარდიის ნეჟინის 57-ე სატანკო ბრიგადა,
ნეჟინის 299-ე მოიერიშე საავიაციო დივიზია,
ნეჟინის 286-ე გამანადგურებელი საავიაციო დივიზია.

კონოტოპის 280-ე მსროლელი დივიზია, ბახმაჩის 132-ე მსროლელი დივიზია, გვარდიის სევსკის 26-ე მექანიზებული ბრიგადა, რომლებმაც მეორედ ისახელეს თავი გერმანელ დამპყრობლებთან ბრძოლებში, წარდგენილ იქნან წითელი დროშის ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 15 სექტემბერს, 20 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **ნეჟინი**, — ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ ქალაქ **ნეჟინის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომლებიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წლის 15 სექტემბერი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
არმიის გენერალ როკოსოვსკის

ცენტრალური ფრონტის ჯარებმა, განაგრძობდნენ რა შეტევას, წარმატებით გადალახეს მდინარე დესნა და დღეს, 16 სექტემბერს, ბრძოლით დაიკავეს გერმანელთა თავდაცვის დიდი დასაყრდენი პუნქტი, ამ მდინარის ზღუდეზე—ქალაქი **ნოვგოროდ-სევერსკი**.

ამრიგად, გერმანელების მიერ წინასწარ მომზადებული თავდაცვა მდინარე დესნის დასავლეთ ნაპირზე გარღვეული აღმოჩნდა ცენტრალური ფრონტის ჯარების მარჯვე და გაბედული მოქმედების შედეგად.

მდინარე დესნის გადალახვისას და ქალაქ ნოვგოროდ-სევერსკის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლებში თავი ისახელეს გენერალ-ლეიტენანტ **რომანენკოს**, გენერალ-ლეიტენანტ **ბატოვისა** და გენერალ-ლეიტენანტ **პუხოვის** ჯარებმა.

ნოვგოროდ-სევერსკისათვის წარმოებულ ბრძოლებში განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

გენერალ-მაიორ **ანდრეევის** შორეულ-აღმოსავლეთის 102-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **კისელიოვის** ციმბირის 140-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **სენჩილოს** 162-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **ოსტაპენკოს** 478-ე სანაღმმტყორცნო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **დმიტრიევის** 120-ე გამანადგურებელმა ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **კოვალენკოს** გვარდიის 94-ე სანაღმმტყორცნო პოლკმა, მაიორ **პოპოვის** საზენიტო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **გაბერის** მე-14 საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ, მაიორ **პოპოვის** 321-ე საინჟინრო ბატალიონმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად დასახელებულ შენაერთებსა და ნაწილებს მიენიჭოთ „**ნოვგოროდ-სევერსკის**“ სახელწოდება და ამიერიდან ისინი იწოდებოდნენ:

ნოვგოროდ-სევერსკის შორეულ-აღმოსავლეთის 102-ე მსროლელი დივიზია,
ნოვგოროდ-სევერსკის ციმბირის 140-ე მსროლელი დივიზია,
ნოვგოროდ-სევერსკის 162-ე მსროლელი დივიზია,
ნოვგოროდ-სევერსკის 478-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
ნოვგოროდ-სევერსკის 120-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ნოვგოროდ-სევერსკის გვარდიის 94-ე სანაღმმტყორცნო პოლკი,
ნოვგოროდ-სევერსკის 235-ე საზენიტო საარტილერიო პოლკი,
ნოვგოროდ-სევერსკის მე-14 საინჟინრო-სასანგრო ბრიგადა,
ნოვგოროდ-სევერსკის 321-ე საინჟინრო ბატალიონი,

გარდა ამისა, მდინარე დესნის გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში თავი ისახელეს:

გენერალ-მაიორ **კუზოვკოვის** სევსკის 69-ე წითელდროშოვანმა მსროლელმა დივიზიამ,
პოლკოვნიკ **უშაკოვის** გვარდიის 37-ე მსროლელმა დივიზიამ,
გენერალ-მაიორ **ენგელგარტის** 307-ე მსროლელმა დივიზიამ,
გენერალ-მაიორ **სმირნოვის** 73-ე მსროლელმა დივიზიამ,
გენერალ-მაიორ **ალფეროვის** 137-ე მსროლელმა დივიზიამ,
პოლკოვნიკ **გუძის** მე-8 მსროლელმა დივიზიამ,
გენერალ-მაიორ **ყაზარიანის** 74-ე მსროლელმა დივიზიამ,
მაიორ **ჩიჩკანის** მე-6 ცალკე საარტილერიო პოლკმა,
მაიორ **ოგბარკოვის** 1168-ე მძიმე საარტილერიო პოლკმა,
პოლკოვნიკ **ოსტახოვის** მე-6 ცალკე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ,
პოდპოლკოვნიკ **ბარაშის** მე-7 მოიერიშე საინჟინრო-სასანგრო ბრიგადამ,
პოდპოლკოვნიკ **შკლიარის** საპონტონო-ხიდის მე-9 ცალკე ბატალიონმა,
მაიორ **პავლოვის** საპონტონო-ხიდის 49-ე ცალკე ბატალიონმა,
მაიორ **ფიოდოროვის** საპონტონო-ხიდის 50-ე ცალკე ბატალიონმა,

მდინარე დესნის წარმატებითი გადალახვისათვის არმიათა სარდლები, აგრეთვე იმ შენაერთების და ნაწილების მეთაურები, რომლებმაც თავი გამოიჩინეს, წარდგენილ იქნან **სუვოროვის** ორდენებით დასაჯილდოებლად.

დღეს, 16 სექტემბერს, 22 საათზე ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც წარმატებით გადალახეს მდინარე დესნა და გაათავისუფლეს ქალაქი **ნოვგოროდ-სევერსკი**,—ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომელნიც მონაწილეობდნენ მდინარე დესნის გადალახვისას წარმოებულ ბრძოლებში და ქალაქ **ნოვგოროდ-სევერსკის** განთავისუფლებაში.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 16 სექტემბერი.

ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო მეთაური საფრანგეთის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში გენერალი ე. პეტი

15 სექტემბერს სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარემ ამხანაგმა ი. ბ. სტალინმა მიიღო ბრიგადის გენერალი ე. პეტი, მეთაური საფრანგეთის ნაციონალური განთავისუფლების კომიტეტის სამხედრო მისიისა სსრ კავშირში. მიღებას დაესწრო საგარეო საქმეთა სახალხო კომისარი ამხ. ვ. მ. მოლოტოვი.

ბრძანება
უმაღლესი მთავარსარდლისა
გენერალ-პოლკოვნიკ პეტროვს
ვიცე-ადმირალ ვლადიმირსკის

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა შავი ზღვის ფლოტის გემებთან და ნაწილებთან თანამოქმედებით გაბედული ოპერაციის შედეგად, ხმელეთიდან დარტყმით და ზღვიდან დესანტის გადასხმით ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, რომელთა განმავლობაში განადგურებულია გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზია, გერმანელთა მე-4 და 101-ე სამთო-მსროლელი დივიზიები, რუმინელთა მე-4 სამთო-მსროლელი დივიზია და გერმანელთა საზღვაო ქვეითი ჯარის სანავსადგურო რაზმები,—დღეს, 16 სექტემბერს, იერიშით დაიკავეს შავი ზღვის მნიშვნელოვანი ნავსადგური და ქალაქი **ნოვოროსიისკი**.

ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში თავი გამოიჩინეს გენერალ-ლეიტენანტ **ლესელიძის** ჯარებმა, კონტრ-ადმირალ **ხოლოსტიაკოვის** მეზღვაურებმა, ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ვერშინინის** და ავიაციის გენერალ-ლეიტენანტ **ერმაჩენკოვის** მფრინავებმა.

განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი:

პოლკოვნიკ **ვრუცკის** 318-ე მსროლელმა დივიზიამ, გენერალ-მაიორ **არშინცევის** ირკუტსკის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენოსანმა და სამგზის წითელდროშოვანმა გვარდიის 55-ე მსროლელმა დივიზიამ, პოდპოლკოვნიკ **კოზლოვის** 83-ე წითელდროშოვანმა ცალკე საზღვაო მსროლელმა ბრიგადამ, პოლკოვნიკ **შურენკოვის** გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადამ, პოდპოლკოვნიკ **პისკარიოვის** შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელმა პოლკმა, კაპიტან-ლეიტენანტ **ბოტილევის** საზღვაო ქვეითი ჯარის 393-ე ცალკე ბატალიონმა, პოდპოლკოვნიკ **გუბრიის** შავი ზღვის ფლოტის სამხედრო-საჰაერო ძალების მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზიამ, მაიორ **მაქსიმენკოს** გვარდიის 88-ე გამანადგურებელმა საავიაციო პოლკმა, მაიორ **ბოჩაროვის** 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენმა საავიაციო პოლკმა, მე-2 რანგის კაპიტან **პროკოფენკოს** სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადამ, კაპიტან-ლეიტენანტ **გლუხოვის** სადარაჯო კატერთა 1-ლმა წითელდროშოვანმა დივიზიონმა, კაპიტან-ლეიტენანტ **სიპიაგინის** სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონმა, პოდპოლკოვნიკ **ახტირჩენკოს** 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **პეტრუნინის** გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკმა, პოლკოვნიკ **ტარასოვის** 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკმა, მაიორ **ბაბინჩის** გვარდიის 108-ე ტანკსაწინააღმდეგო გამანადგურებელმა საარტილერიო პოლკმა, პოდპოლკოვნიკ **ივანინის** 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმმტყორცნო პოლკმა, მაიორ **მატუშენკოს** გვარდიის პირველმა ცალკე საარტილერიო დივიზიონმა, კაპიტან **სოლუიანოვის** 251-ე ცალკე მოძრავმა საარტილერიო დივიზიონმა, პოდპოლკოვნიკ **მაკარიანის** გვარდიის მე-8 სანაღმმტყორცნო პოლკმა.

მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად, 318-ე მსროლელ დივიზიას, 83-ე წითელდროშოვან ცალკე საზღვაო მსროლელ ბრიგადას, გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადას, შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელ პოლკს, საზღვაო ქვეითი ჯარის 393-ე ცალკე ბატალიონს, მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზიას, გვარდიის 88-ე გამანადგურებელ საავიაციო პოლკს, 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენ საავიაციო პოლკს, სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადას, სადარაჯო კატერთა 1-ლ წითელდროშოვან დივიზიონს, სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონს, 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკს, გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკს, 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკს, გვარდიის 108-ე გამანადგურებელ ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკს, 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმმტყორცნო პოლკს, გვარდიის 1-ლ ცალკე საარტილერიო დივიზიონს, 251-ე ცალკე მოძრავ საარტილერიო დივიზიონს და გვარდიის მე-8 სანაღმმტყორცნო პოლკს, რომლებმაც თავი გამოიჩინეს ქალაქ **ნოვოროსიისკის** განთავისუფლებისათვის ბრძოლებში, მიენიჭოთ „**ნოვოროსიისკის**“ სახელწოდება და ამიერიდან ეს შენაერთები და ნაწილები იწოდებოდნენ:

ნოვოროსიისკის 318-ე მსროლელი დივიზია,
ნოვოროსიისკის 83-ე წითელდროშოვანი ცალკე საზღვაო მსროლელი ბრიგადა,
ნოვოროსიისკის გვარდიის მე-5 სატანკო ბრიგადა,
ნოვოროსიისკის შინსახკომის ჯარების 290-ე ცალკე მსროლელი პოლკი,
ნოვოროსიისკის 393-ე საზღვაო ქვეითი ჯარის ცალკე ბატალიონი,
ნოვოროსიისკის მე-11 მოიერიშე საავიაციო დივიზია,
ნოვოროსიისკის გვარდიის 88-ე გამანადგურებელი საავიაციო პოლკი,
ნოვოროსიისკის 889-ე ღამის მსუბუქ-ბომბდამშენი საავიაციო პოლკი,
ნოვოროსიისკის სატორპედო კატერთა მე-2 ბრიგადა,
ნოვოროსიისკის სადარაჯო კატერთა 1-ლი წითელდროშოვანი დივიზიონი,
ნოვოროსიისკის სადარაჯო კატერთა მე-4 დივიზიონი,
ნოვოროსიისკის 81-ე საჰაუბიცო საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 69-ე საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის 1.169-ე ზარბაზნის საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 108-ე გამანადგურებელი ტანკსაწინააღმდეგო საარტილერიო პოლკი,
ნოვოროსიისკის 195-ე სამთო-სასაპალნო-სანაღმმტყორცნო პოლკი,
ნოვოროსიისკის გვარდიის 1-ლი ცალკე საარტილერიო დივიზიონი,
ნოვოროსიისკის 251-ე ცალკე მოძრავი საარტილერიო დივიზიონი,
ნოვოროსიისკის გვარდიის მე-8 სანაღმმტყორცნო პოლკი.

ირკუტსკის რსფსრ უმაღლესი საბჭოს სახელობის ლენინის ორდენოსანი და სამგზის წითელდროშოვანი გვარდიის 55-ე მსროლელი დივიზია, რომელმაც უკვე არაერთგზის ისახელა თავი ჩვენი სამშობლოს მტრების წინააღმდეგ ბრძოლებში, წარდგენილ იქნას **სუვოროვის** მეორე ხარისხის ორდენით დასაჯილდოებლად.

დღეს, 16 სექტემბერს, 20 საათზე, ჩვენი სამშობლოს დედაქალაქი **მოსკოვი** სამშობლოს სახელით სალუტს აძლევს ჩვენს მამაც ჯარებს, რომლებმაც გაათავისუფლეს ქალაქი **ნოვოროსიისკი**, — ასოცდაოთხი ქვემეხის თორმეტი საარტილერიო ზალპით. შავი ზღვის ფლოტის გემებმა ამავე დროს სალუტი მისცენ 12 ზალპით იმ ჯარებსა და გემებს, რომლებმაც გერმანელ ფაშისტთა უღლისაგან გაათავისუფლეს შავი ზღვის სამხედრო-საზღვაო ფლოტის მეორე ბაზა—**ნოვოროსიისკი**.

საუცხოო საბრძოლო მოქმედებისათვის **მადლობას ვუცხადებ** თქვენი ხელმძღვანელობის ქვეშ მყოფ ყველა ჯარებს, რომლებიც მონაწილეობდნენ **ნოვოროსიისკის** განთავისუფლებისათვის.

სამარადისო დიდება გმირებს, რომელნიც დაეცნენ ჩვენი სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში!

სიკვდილი გერმანელ დამპყრობლებს!

უმაღლესი მთავარსარდალი
საბჭოთა კავშირის მარშალი ი. სტალინი

1943 წ. 16 სექტემბერი.

როსლავლის მიმართულებით

მოქმედი არმია, 14 სექტემბერი (საკადესის სპეც. კორესპონდენტისაგან). ჩვენმა შემტევმა ქვეგანაყოფებმა დასძლიეს მტრის წინააღმდეგობა გზატკეცილის ჩრდილოეთით მდებარე ტყის მასივში და მიადგნენ გზას, რომელსაც მოწინააღმდეგე თავისი ძალების მანევრირებისათვის იყენებდა.

შეუპოვარი ბრძოლები გრძელდებოდა გუშინ მთელი დღის განმავლობაში მეზობელ უბანზეც. წყლის ერთ ზღუდეზე მტერი შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევდა. ნ ქვეგანაყოფმა შებოჭა მოწინააღმდეგე ფრონტული ცეცხლით. ამავე დროს რამდენიმე მოიერიშე რაზმმა განვლო ჭაობი და გავიდა მდინარესთან ის უბანი მარცხნივ, რომელსაც გერმანელები იცავდნენ. მათ გადალახეს წყლის ზღუდე და უეცრად დაარტყეს მტერს ზურგიდან. გერმანელებმა დიდი ზარალი ნახეს და უკან დაიხიეს.

ჰიტლერელები ცდილობდნენ შეიჩერებინათ ჩვენი წინსვლა და მთელ რიგ უბნებზე გააფთრებული კონტრიერიშებში მოჰქონდათ, ბრძოლაში აბამდნენ ქვეითი ჯარის ქვეგანაყოფებსა და ტანკებს, არტილერისტები. ნაღმტყორცნელები, მსროლელები გააფთრებული ცეცხლით შეხვდნენ ჰიტლერელებს. უნაყოფო კონტრიერიშებში ჰიტლერელებმა ექვსი ტანკი და 400-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭარგეს და იძულებულნი იყვნენ დაეტოვებინათ მთელი რიგი დასაყრდენი პუნქტები.

უკან იხევენ რა საბჭოთა ჯარების დარტყმების შედეგად, ჰიტლერელები, უძლური ბრაზით შეპყრობილნი, საშინელ ბოროტმოქმედებას სჩადიან: ხვრეტენ მშვიდობიან მოსახლეობას, სწვავენ დასახლებულ პუნქტებს. ელნიას რაიონის მარტო ორ სოფელში—ბოგადილოვოსა და ალექსეევკაში ფაშისტებმა მოჰკლეს 31 კოლმეურნე. დახვრეტილთა შორის არიან: ფიოდოსია ლაზარევა 70 წლისა, პეტრე ივანეს-ძე ლუკინი—80 წლისა, სერგი ივჩენკო—75 წლისა, მარიამ ზაიცევა—65 წლისა და სხვები.

საბჭოთა მეომრები, შურისძიების წყურვილით აღფრთოვანებულნი, შემმუსვრელ დარტყმებს აგემებენ მტერს. ჩვენი ნაწილების წინსვლა გრძელდება. ოკუპანტები განდევნილი არიან კიდევ რამდენიმე დასახლებული პუნქტიდან.

კაპიტანი ს. ნორტმანი

უკანასკნელი ცნობები

მდგომარეობა იტალიაში
საოჯახო მოქმედების მიმდინარეობა

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკადესი). მოკავშირეთა ჩრდილოეთ აფრიკის ჯარების შტაბი იუწყება, რომ სალერნოს ყურის სანაპიროზე ჯარების გადასხდომა კვლავ დამაკმაყოფილებლად ხორციელდება. სანაპიროსთან მოქმედი საესკადრო ნაღმოსნები უშენენ მოწინააღმდეგის პოზიციებს და თავმოყრილ ჯარებს. 13 სექტემბერს მოკავშირეთა სახაზო გემებმა დაბომბეს მტრის ობიექტები სალერნოს რაიონის სამხრეთით.

იტალიელთა განიარაღება იუგოსლავიაში

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კაიროდან იუწყება, რომ ასობით გერმანელები და პაველიჩელები მოკლულ იქნენ გაფიცრებულ შეტაკებებში, რომლებიც ამ უკანასკნელი ხუთი დღის განმავლობაში მოხდა კარლოვაცთან, სანამ მათ განიიარაღეს 10.000 იტალიელი. იტალიელთა გარნიზონი ზავრებში აგრეთვე განიარაღებულ იქნა.

რომში დაპატიმრეს ბადოლიოს მთავრობის მინისტრები

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკადესი). რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს შვეიცარიის რადიოს ცნობას იმის შესახებ, რომ საგარეო საქმეთა მინისტრი გუარილია და ბადოლიოს მთავრობის ყველა სხვა მინისტრები, რომელნიც რომში დარჩნენ, გერმანელებმა დააპატიმრეს.

იტალიის გემები კუნძულ კვიპროსს მიადგნენ

ლონდონი, 16 სექტემბერი (საკადესი). როგორც რეიტერის სააგენტოს სპეციალური კორესპონდენტი კუნძულ კვიპროსიდან გადმოგვცემს, იქ დოდეკანეზის კუნძულებიდან ინგლისის მერვე არმიის ნაწილებმა მიაღწიეს სკალეს და ჩრდილოეთისაკენ მიიწევენ.

აფრიკის მეხუთე არმიის ფრონტზე მოკავშირეთა ჯარები მაგრდებოდნენ თავიანთ ხიდწინა სიმაგრეზე. მაშველი ძალები კვლავ მიდიან.

ალეპირის რადიო იუწყება, რომ ამ უკანასკნელი დღე-ღამის განმავლობაში ინგლისის მერვე არმიამ წინ წაიწია 40 კილომეტრით.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან
16 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

16 სექტემბერს, ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შავი ზღვის ფლოტთან თანამოქმედებით ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური **ნოვოროსიისკი**.

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, ცალკეულ უბნებზე წინ წაიწიეს 6-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს ქალაქი **რომენი**, ჩერნიგოვის ოლქის რაიონული ცენტრები **ნოსოვკა**, **იჩნია**, სუმის ოლქის რაიონული ცენტრები **ტალალაევკა**, **გლინსკი**, აგრეთვე დაიკავეს 90-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი.

პავლოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წარმატებითი შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს 100-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ქალაქი **ბაბენკოვო** — **კვინტა** — **ლოზოვატია** და დიდრონი დასახლებული პუნქტები **ოლეინიკი**, **ტარასოვკა**, **პანიუტინა**, **დომახა**, **ოსადჩი**, **ხორუშევი**, **კოზანოვკა**.

ზაპოროჟიეს და **მელიტოპოლის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ, წინ წაიწიეს 10-დან 18-მდე კილომეტრით და დაიკავეს 40-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის **ზაპოროჟიეს** ოლქის რაიონული ცენტრი **ოსიპენკო** (14 კილომეტრზე ქალაქ **ოსიპენკოს** ჩრდილოეთით) და დიდრონი დასახლებული პუნქტები **რომანკი**, **ეკატერინოვკა**, **ხვალიგოგოვკა**, **ვარვაროვკა**, **ჩაპაევკა**, **კოზნეკი** **რაზდორი**, **გუსარკა**, **ბელმანკა**, **ბერესტოვოე**, **ვიგოდოვო**, **ტროიცკოე**, **ნიკოლაევკა**, **სტარო-პეტროვსკი**, **ნოვო-პეტროვკა**.

ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც **ხარკოვის** სამხრეთ-დასავლეთით უტიევენ, დაიკავეს ქალაქი **ვალკი**, აგრეთვე დაიკავეს დიდრონი დასახლებული პუნქტები **მინკოვკა**, **გავრილოვკა**, **ევდოკიმოვკა**, **კარავანი**, **სტაროვეროვკა**, **ლოგვინი**, **ვლასოვკა**, **ფლიასოვაია**.

ბრიანსკის სამხრეთით და მდინარე **დესნის** დასავლეთ ნაპირზე ჩვენმა ჯარებმა, რომელნიც წარმატებითს ბრძოლას განაგრძობენ პლაცდარმების გასაფართოებლად, დაიკავეს ქალაქი **ნოვგოროდ-სევერსკი**.

როსლავლისა და **ბრიანსკის** მიმართულებებით ჩვენი ჯარები შეტევას განაგრძობდნენ და რამდენიმე დასახლებული პუნქტი დაიკავეს.

15 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დააზიანეს და მოსპეს გერმანელთა 64 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 94 თვითმფრინავი.

* * *

ჩრდილოეთ კავკასიის ფრონტის ჯარებმა, შავი ზღვის ფლოტთან თანამოქმედებით, დღეს იერიშით დაიკავეს ქალაქი და ნავსადგური ნოვოროსიისკი. რამდენიმე დღის წინათ ჩვენმა ჯარებმა გაარღვიეს მოწინააღმდეგის მძლავრი ბეტონირებული სიმაგრეები, ქალ. ნოვოროსიისკში შეიჭრნენ და ქუჩებში გაჩაღეს ბრძოლა. ამავე დროს შავი ზღვის ფლოტის გემებმა დესანტი გადასხეს ნავსადგურში და ამით დარტყმა აგემეს მოწინააღმდეგეს ზღვიდან. ხუთი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ ქალაქი ნოვოროსიისკი განთავისუფლებულია გერმანელ ფაშისტ ოკუპანტთაგან. ნოვოროსიისკისათვის ბრძოლებში ჩვენმა ჯარებმა გაანადგურეს გერმანელთა 73-ე ქვეითი დივიზია, გერმანელთა მე-4 და 101-ე სამთო-მსროლელი დივიზიები, რუმინელთა მე-4 სამთო-მსროლელი დივიზია და გერმანელთა საზღვაო ქვეითი ჯარის სანავსადგურო რაზმები. ხელთ ვიგდეთ ნივთისა და სურსათის დიდი საწყობები და საომარი მასალის საწყობები.

* * *

ამ დღეებში ბრიანსკის სამხრეთით ჩვენმა ჯარებმა რამდენიმე ადგილას გადალახეს მდინარე დესნა და გააჩაღეს ბრძოლები ქალაქ ნოვგოროდ-სევერსკის ჩრდილოეთითა და სამხრეთით. დესნის დასავლეთ ნაპირზე გერმანელებმა წინასწარ შეჭქნეს თავდაცვის ხაზი, რომელსაც „გერმანიის აღმოსავლეთი სანგარი“ უწოდეს. ამ მდინარის ზღუდეზე განლაგებულ მრავალ დასაყრდენ პუნქტს, განსაკუთრებით ქალაქ ნოვგოროდ-სევერსკის მოწინააღმდეგის დიდი ძალები იცავდნენ. გერმანელები თავგანწირულად ცდილობდნენ გადმოეგდოთ დესნის დასავლეთ ნაპირიდან იქ გადასული საბჭოთა შენაერთები. 6 ნაწილის მებრძოლებმა მარტო გუშინდელი დღის განმავლობაში მოიგერიეს მოწინააღმდეგის 27 გააფთრებული კონტრიერიში და მოსპეს 1.500-მდე ჰიტლერელი, 15 ტანკი და 6 თვითმავალი ქვემეხი. საბჭოთა ჯარებმა მკვიდრი პლაცდარმები შეჭქნეს დესნის დასავლეთ ნაპირზე, დღეს გადამწყვეტ შეტევებზე გადავიდნენ და ბრძოლით დაიკავეს ქალაქი ნოვგოროდ-სევერსკი. მოწინააღმდეგეს მძიმე ზარალი მოუვიდა. ჩვენმა ჯარებმა ხელთ იგდეს დიდძალი საჭურველი და სხვადასხვა სამხედრო მასალა.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევის განვითარებას განაგრძობდნენ. მოწინააღმდეგე ცდილობს შეაჩეროს შემტევი ჩვენი ნაწილები, მაგრამ საბჭოთა ჯარები სწრაფად ურტყამენ მათ და უკუაგდებენ დასავლეთისა და სამხრეთ-დასავლეთისაკენ. დღეს 6 შენაერთის მებრძოლებმა გაბედული იერიშით დაიკავეს ქალაქი **რომნი**. ჩვენმა სხვა ნაწილებმა დაიკავეს რაიონული ცენტრები **ნოსოვკა**, **იჩნია**, **ტალალაევკა**, **გლინსკი**, აგრეთვე დაიკავეს 90-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. ერთი დღის ბრძოლების განმავლობაში დაზიანებული და დამწვარია გერმანელთა 20 ტანკი.

დაიკავეს რა ქალაქი ნეჟინი, საბჭოთა ნაწილებმა ხელთ იგდეს 14 ტანკი, 60 ქვემეხი, აქედან 12 შორსსროლელი, დიდძალი ნაღმსატყორცნი, ტყვიამფრქვევები, ავტომატები და შაშხანები. ხელთ ვიგდეთ აგრეთვე დიდი საწყობები საომარ მასალიანად, სურსათიანად და სხვადასხვა სამხედრო ქონებიანად.

* * *

პავლოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. გასტეხეს რა გერმანელთა წინააღმდეგობა და სდევნიდნენ რა მოწინააღმდეგეს, 6 შენაერთის ნაწილებმა დაიკავეს რკინიგზის დიდი კვანძი და ქალაქი ლოზოვაია. ხელთ ვიგდეთ დიდი საწყობები საომარ მასალიანად. ჩვენი სხვა შენაერთი გარს შემოერტყა მოწინააღმდეგის ერთ პოლკ ქვეითს ჯარს და ერთი დღის განმავლობაში გაჟლიტა 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ბრძოლის ველზე ვიპოვნეთ გერმანელთა პოლკის მეთაურის გვამი. ხელთ ვიგდეთ დაალა და ტყვეების მნიშვნელოვანი რაოდენობა.

* * *

ზაპოროჟიეს და მელიტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებითს შეტევას განაგრძობდნენ. ნ შენაერთის, ნაწილებმა გაარღვიეს მტრის შუალა თავდაცვითი ზღუდე, წინ მიიწევდნენ და მოსპეს მტრის 800 ჯ

სსრ კავშირის სახკომსაბჭოში

გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში ღორების, ცხვრებისა და თხების შეყვანის შესახებ

სსრ კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაადგინა:

1. შეყვანილ იქნას 1943 წლის 1 ნოემბრამდე იმ რაიონებში, რომლებიც განთავისუფლებული არიან გერმანელთა ოკუპაციისაგან, კოლმეურნეობებში მეღორეობის, მეცხვარეობისა და მეთხეობის აღსადგენად: 55 ათასი ღორი, 165 ათასი ცხვარი და 17 ათასი თხა, რაც შემდეგნაირად განაწილდეს ოლქების მიხედვით:

	ათას სულობით		
	ღორი	ცხვარი	თხა
კალინინის ოლქში	10	20	1,0
სმოლენსკის ოლქში	15	30	2,0
ორიოლის ოლქში	9	20	2,0
კურსკის ოლქში	5	25	2,5
ვორონეჟის ოლქში	10	25	2,5
სტალინგრადის ოლქში	—	15	2,0
უკრაინის სსრ-ში	6	30	5,0
სულ:	55	165	17,0

2. დაევალოთ სსრ კავშირის მიწსახკომს, სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს, დამზადებათა სახალხო კომისარიატს და სათანადო საოლქო აღმასკომებსა და რესპუბლიკათა სახკომსაბჭოებს—მოაწყონ 1943 წლის სექტემბერ-ოქტომბერში შესყიდვა კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებისაგან არანაკლებ 4 თვის ასაკის ღორებისა, ცხვრებისა და თხებისა გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის იმ პირობებით, რაც დაწესებულია სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილების II კარის მე-4 პუნქტით, შემდეგი რაოდენობით:

ოლქების, რესპუბლიკების დასახელება	ათას სულობით		
	ღორი	ცხვარი	თხა
იაროსლავლის ოლქი	5	15	—
ივანოვოს ოლქი	2	10	—
ტამბოვის ოლქი	2	—	—
სარატოვის ოლქი	14	10	—
კუიბიშევის ოლქი	5	20	—
ულიანოვსკის ოლქი	3	9	—
ჩკალოვის ოლქი	3	10	—
კიროვის ოლქი	3	7	—
მოლოტოვის ოლქი	2	3	—
სვერდლოვსკის ოლქი	3	—	—
ბაშკირეთის ასსრ	3	10	—
ჩუვაშეთის ასსრ	3	3	—
მორდვეთის ასსრ	2	3	—
ყაზახეთის სსრ	5	50	9
აზერბაიჯანის სსრ	—	5	3
საქართველოს სსრ	—	5	3
სომხეთის სსრ	—	5	2
სულ:	55	165	17

3. დაწესდეს, რომ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის ღორების, ცხვრებისა და თხების შესყიდვა კოლმეურნეებისაგან სწარმოებს იმ პირობებით, რაც გათვალისწინებული იყო ბატკნების კონტრაქტაციისათვის სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილების II კარის მე-2 პუნქტით.

4. შორიდან გადაყვანის თავიდან ასაცილებლად და გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისთვის პირუტყვის ჩაბარების დაჩქარების მიზნით, დაევალოთ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. სმირნოვს) და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს (ამხ. ლობანოვს) ამ დადგენილების 1-ლი პუნქტით დაწესებული გეგმის ანგარიშში გაუგზავნონ გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებს თავიანთი მეურნეობებიდან და დამამზადებელი ბაზებიდან: 25 ათასი ღორი, 115.000 ცხვარი, აქედან: სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით—5.000 ღორი, 100.000 ცხვარი და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის ხაზით — 20.000 ღორი და 15.000 ცხვარი, ამასთან პირუტყვის აღნიშნული რაოდენობა შემდგომ იქნას ანაზღაურებული კოლმეურნეობებში წარმოებული შესყიდვებიდან ამ დადგენილების მე-2 პუნქტის თანახმად.

5. დაწესდეს, რომ შეყვანილი პირუტყვი კოლმეურნეობებს ჰბარდება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით (მარცვლეულით, ზეთის თესლით, კარტოფილით, ბოსტნეულითა და თივით) ნატურალური ანაზღაურების საფუძველზე შეცვლის დაწესებული ეკვივალენტების მიხედვით.

მიღებულ პირუტყვს კოლმეურნეობები სახელმწიფოს უნაზღაურებენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებით 1943 და 1944 წლებში, ხოლო ცალკეულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, 1945 წელშიც საოლქო აღმასკომების, უკრაინის სსრ-ის სახკომსაბჭოს და დამზადებათა სახალხო კომისარიატის განსაზღვრით კოლმეურნეობათა მდგომარეობის მიხედვით.

6. დაწესდეს, რომ კოლმეურნეობებში და კოლმეურნეებისაგან პირუტყვის შესყიდვას, აგრეთვე გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებულ რაიონებში პირუტყვის შეყვანასა და გადარეკვას აწარმოებს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატი თავისი დამამზადებელი ორგანოების საშუალებით.

დაევალოს სსრ კავშირის მიწსახკომს (ამხ. ბენდიქტოვს) გამოჰყოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის განკარგულებაში პირუტყვის გამყოლთა და გამრეკთა საჭირო რაოდენობა, აგრეთვე ზოოტექნიკური და ვეტერინარი მუშაკები პირუტყვის შერჩევასა, დამუშავებასა, გაგზავნასა და გადასაყვანი და გადასარეკი პირუტყვის გზად თანხლებაში მონაწილეობისათვის.

დანიშნულების სადგურებამდე და პუნქტებამდე პირუტყვის გადაყვანა და გადარეკვა და დანიშნულების ადგილებში რაციონალურად მეცხოველეობისათვის მათი გადაცემა სწარმოებს რაიონების მიხედვით პირუტყვის განაწილებას გეგმის შესაბამისად, რაც დამტკიცებულია საოლქო აღმასკომებისა და უკრაინის სსრ-ის სახკომსაბჭოს მიერ.

7. დაევალოთ კალინინის, სმოლენსკის, ორიოლის, კურსკის, ვორონეჟის, სტალინგრადის საოლქო აღმასკომებს და უკრაინის სსრ-ის სახკომსაბჭოს:

ა) დაამტკიცონ გეგმა ღორების, ცხვრებისა და თხების შესაყვანი სულადობის რაიონების მიხედვით, ხოლო რაიონებში—კოლმეურნეობების მიხედვით განაწილებისა და 1943 წლის 20 სექტემბრისათვის აცნობონ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს დანიშნულებისა სადგურები, თითოეულ სადგურში მისაყვანი პირუტყვის რაოდენობა და გადასარეკი პირუტყვის ჩაბარების პუნქტები;

ბ) მიავლინონ 1943 წლის 20 სექტემბრამდე პირუტყვის მიმღები თითოეული რაიონისაგან გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებისათვის პირუტყვის გამგზავნ ოლქებში სათანადო წარმომადგენელი და სოფლის ეიუონომის სპეციალისტები რაიონში შესაყვანი პირუტყვის შერჩევასა, გაგზავნასა და თანხლებაში მონაწილეობისათვის;

გ) უზრუნველჰყონ ზამთრის პირობებში პირუტყვის შესანახად ვარგისი სადგომების მომზადება კოლმეურნეობებში, გამოჰყონ საკვები, აგრეთვე კოლმეურნეთა საჭირო რაოდენობა პირუტყვის მოსავლელად.

8. დაევალოს დამზადებათა სახალხო კომისარიატს გამოჰყოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატის განკარგულებაში გადასაყვანი პირუტყვის გზაში საკვებად 3.200 ტონა კონცენტრირებული საკვები და 2.500 ტონა თივა.

9. დაევალოს სსრ კავშირის ფინსახკომს გამოჰყოს სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატის, სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატისა და სსრ კავშირის მიწსახკომისთვის საჭირო სახსრები პირუტყვის შესასყიდად, საკვების, სარკინიგზო გადაზიდვის ასანაზღაურებლად, ინვენტარის, ვაგონების ტყუობილობის შესასყიდად, პირუტყვის თანმხლებელ კოლმეურნეებისა და მივლინებული სპეციალისტების გამგზავრების ასანაზღაურებლად.

10. პირუტყვის თანმხლებელი კოლმეურნეებისათვის შრომადღეების დარიცხვა და გზაში მათთვის პურის გაცემა სწარმოებდეს სსრ კავშირის სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1943 წლის 21 აგვისტოს დადგენილების I კარის მე-9 და მე-12 პუნქტების შესაბამისად.

11. დაეკისროთ სსრ კავშირის ხორცისა და რძის მრეწველობის სახალხო კომისარიატს (ამხ. სმირნოვს), სსრ კავშირის მიწსახკომს (ამხ. ბენდიქტოვს), სსრ კავშირის საბჭოთა მეურნეობების სახალხო კომისარიატს (ამხ. ლობანოვს) და რუსეთის სფსრ-ის სახკომსაბჭოს (ამხ. გრიცენკოს) ხელმძღვანელობა პირუტყვის შესყიდვის, გადაყვანის, გადარეკვისა და გერმანელთა ოკუპაციისაგან განთავისუფლებული რაიონების კოლმეურნეობებში განაწილების მთელი საქმისა და პასუხისმგებლობა გზად და შეყვანის ადგილებში პირუტყვის შენახვისათვის.

საბჭოთა საინფორმაციო ბიუროსაგან

15 სექტემბრის ოპერაციული ცნობა

15 სექტემბერს კიევის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა, ორი დღის გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს რკინიგზის დიდი კვანძი და ქალაქი ნეჟინი.

ზაპოროჟიეს და მელიტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებით შეტევას ანვითარებდნენ, წინ წაიწიეს 10-15 კილომეტრით და დაიკავეს ქალაქი გულიაი პოლე, დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი პოკროვსკოე, ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი და სადგური კუიბიშევი, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: კოლოჭიინცი, რავნოპოლი, ვერბოვოე, ნოვოსელოვკა, რეშეტილოვკა, გაიჩული, ბლაგოვეშჩენკა, ბელოცერკოვკა, ზახარიევკა, სტაროდუბოვკა, ურუზუფი.

პავლოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევის განვითარებას, წინ წაიწიეს 10-დან 15-მდე კილომეტრით და დაიკავეს 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის დიდი დასახლებული პუნქტები: ნოვონიკოლაევკა, ზაკუტნევკა, ნოვო-პეტროვკა, კნიაზევო, როზდესტვენსკოე, ნადეჟდინო, სტარიე ბლიზნეცი, ბარბალატოვო, ნიკოლაევკა, ალექსანდროვკა, დოგროპოლიე, ალექსანდროპოლი და რკინიგზის სადგურები — რაზდოლიე, კრასნოპავლოვკა, ბლიზნეცი.

ბრიანსკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს ქალაქი დიატკოვო და დიდი დასახლებული პუნქტი ლუგოხნა.

ჩვენმა ჯარებმა, რომლებიც შეტევას აწარმოებენ ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით, წინ წაიწიეს 5-დან 8-მდე კილომეტრით და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, მათ შორის ხარკოვის ოლქის რაიონული ცენტრი, ნოვაია ვოდოლაგა და დიდი დასახლებული პუნქტები—სტარაია ვოდოლაგა, კნიაგინოე, ოხოჩაე, მელიხოვკა, პარასკოვეია, ბერესტოვაია, სფრემოვკა.

პრილუკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი, მათ შორის პოლტავკის ოლქის რაიონული ცენტრი სენჩა.

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს რამდენიმე დასახლებული პუნქტი.

14 სექტემბრის განმავლობაში ჩვენმა ჯარებმა ყველა ფრონტზე დაამარცხეს და მოსპეს გერმანელთა 59 ტანკი. საჰაერო ბრძოლებში და საზენიტო არტილერიის ცეცხლით ჩამოგდებულია მოწინააღმდეგის 80 თვითმფრინავი.

* * *

კიევის მიმართულებით ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რკინიგზის დიდი კვანძი და ქალაქი ნეჟინი. ქალაქის მისადგომებზე გერმანელებმა შეჰქმნეს ძლიერი თავდაცვითი ზღუდე და ათეულ ნაწილებს მოუყარეს აქ თავი. ორი დღის განმავლობაში გააფთრებული ბრძოლები სწარმოებდა. 15 სექტემბერს, გათენებისას, ჩვენმა ჯარებმა დაიკავეს რკინიგზის კვანძი და ქალაქი ნეჟინი—გერმანელთა თავდაცვის უმნიშვნელოვანესი დასაყრდენი პუნქტი კიევისაკენ მიმავალ გზაზე. საბჭოთა ჯარების ამ გამარჯვების შედეგად მოწინააღმდეგემ დაკარგა რკინიგზის უკანასკნელი როკადული მაგისტრალი დნეპრის მარცხენა ნაპირზე. ნეჟინისათვის ბრძოლაში გაელიტლია 3.000-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელში ჩავიგდეთ დიდი დავლა და მრავალი ტყვე.

* * *

ზაპოროჟიეს და მელიტოპოლის მიმართულებით ჩვენი ჯარები წარმატებას შეტევას ანვითარებდნენ და დაიკავეს ქალაქი გულიაი პოლე, დნეპროპეტროვსკის ოლქის რაიონული ცენტრი პოკროვსკოე, ზაპოროჟიეს ოლქის რაიონული ცენტრი და სადგური კუიბიშევი, აგრეთვე დაიკავეს 60-ზე მეტი სხვა დასახლებული პუნქტი. გერმანელთა ცდები, რომ კონტრიერიშებით შეეჩერებინათ საბჭოთა ჯარების მძაფრი შეტევა, დამთავრდა მოწინააღმდეგის ბევრი ქვეითი და სატანკო ქვეგანაყოფის განადგურებით. ერთი დღის ბრძოლებში გერმანელებმა 2.000-ზე მეტი ჯარისკაცი და ოფიცერი დაჭკარგეს მარტო მოკლულთა სახით. მოსპობილია გერმანელთა 16 ტანკი და ავტომანქანა-ტრანსპორტერი, 5 თვითმავალი და 4 საველე ქვემეხი. არასრული ცნობებით, ხელში ჩავიგდეთ 4 ვარგისი ტანკი, სხვადასხვა ყალიბის 40 ქვემეხი, 5 საწყობი საომარი მასალა, 7 საწყობი სურსათიანად და სამხედრო ქონებიანად. წამოყვანილია 300-ზე მეტი ტყვე.

ჩვენი ავიაცია დღისითაც და ღამითაც ურტყამდა მოწინააღმდეგის ჯარებსა და ტექნიკას. დღის განმავლობაში საბჭოთა მფრინავებმა საჰაერო ბრძოლებში ჩამოაგდეს გერმანელთა 34 თვითმფრინავი.

* * *

პავლოგრადის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას და დაიკავეს 120-ზე მეტი დასახლებული პუნქტი. გერმანელთა ქვეითი ჯარის რაზმები, ტანკებითა და თვითმავალი ქვემეხებით გაძლიერებული, გამაგრებულ დასახლებულ პუნქტებს ეყრდნობიან და შეუპოვარ წინააღმდეგობას გვიწევენ. ჩვენი მებრძოლნი იჭრებიან მოწინააღმდეგის ზურგში, შლიან მტრის თავდაცვას და ყლეტენ გერმანელთა რაზმებსა და გარნიზონებს. 6 შეაერთის ნაწილებმა უკუაგდეს მოწინააღმდეგე და მოსპეს 1.000-ზე მეტი გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი. ხელში ჩავიგდეთ დიდი დავლა; მათ შორის: 24 ქვემეხი, 2 ჯავშანტრანსპორტერი, ბევრი ტყვიამფრქვევი და ზაშხანა.

* * *

ხარკოვის სამხრეთ-დასავლეთით ჩვენმა ჯარებმა გასტეხეს მტრის შეუპოვარი წინააღმდეგობა, წინ წაიწიეს და დაიკავეს 20-ზე მეტი დასახლებული პუნქტი, 6 შეაერთის მებრძოლნი შეიჯრნენ ხარკოვის ოლქის რაიონულ ცენტრ ნოვაია ვოდოლაგაში და, ქუჩებში გამართული გააფთრებული ბრძოლების შემდეგ, დაიკავეს იგი. ნოვაია ვოდოლაგასათვის წარმოებულ ბრძოლებში მოსპობილია 800-მდე ჰიტლერელი, დაზიანებული და დამწვარია 12 ტანკი და 5 თვითმავალი ქვემეხი. ქუჩებში დარჩა გერმანელთა მიერ მიტოვებული დიდძალი სხვადასხვა საჭურველი და საომარი მასალა.

* * *

პრილუკის მიმართულებით ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ წინსვლას. საბჭოთა მებრძოლებმა მთელ რიგ ადგილებს გადალახეს მდინარე სულა და ამით ჩაშალეს გერმანელთა ცდები—გამაგრებულიყვნენ წყლის ამ ზღუდეზე. 6 შეაერთის ნაწილებმა მდინარის დასავლეთ ნაპირზე დაიკავეს პოლტავის ოლქის რაიონული ცენტრი სენჩა და რამდენიმე სხვა დასახლებული პუნქტი. ხელში ჩავიგდეთ 13 ქვემეხი, 2 რადიოსადგური, საომარი მასალების საწყობი და სხვა დავლა. 6 ნაწილის ტანკისტები შეიჯრნენ მოწინააღმდეგის განლაგებაში და მუხლუხებით ჭასრისეს 15 ტანკსაწინააღმდეგო ქვემეხი.

* * *

ბრიანსკის ფრონტზე ჩვენი ჯარები განაგრძობდნენ შეტევას. 6 შეაერთის ნაწილებმა შეუპოვარი ბრძოლების შედეგად დაიკავეს ქალაქი დიატკოვო, აგრეთვე მთელი რიგი სხვა დასახლებული პუნქტები. ამ ბრძოლებში მოსპობილია ერთ ბატალიონზე მეტი ჰიტლერელი. ხელში ჩავიგდეთ დიდძალი საჭურველი და საომარი მასალა. საბჭოთა კავალერისტებმა ტყეში მომზდარ ბრძოლაში გაანადგურეს მოწინააღმდეგის ერთი ნაწილი.

* * *

როსლავლის მიმართულებით ჩვენი ჯარები შეტევითს ბრძოლებს ეწეოდნენ. ვარშავის გზატკეცილის ჩრდილოეთით 6 შეაერთის ნაწილებმა წინ წაიწიეს და მდინარე დესნას მიადგნენ. სხვა უბანზე ჩვენმა ქვეგანაყოფებმა დაიკავეს მოწინააღმდეგის 2 ძლიერ გამაგრებული დასაყრდენი პუნქტი. ამ ბრძოლებში მოსპობილია 400-მდე გერმანელი ჯარისკაცი და ოფიცერი.

ჩვენი ავიაცია დიდი ძალებით ორჯერ დაესხა თავს მოწინააღმდეგის დიდ აეროდრომს. დაბომბვის შედეგად მოსპობილი და დაზიანებულია გერმანელთა 50-მდე თვითფრინავი. აეროდრომების თავზე მომხდარ საჰაერო ბრძოლებში ჩამოგდებულია გერმანელთა 9 ავიაგამანადგურებელი.

* * *

ჩვენმა ხომალდებმა ბარენცის ზღვაში ჩასძირეს მოწინააღმდეგის 2 ტრანსპორტი 6.000 ტონა წყალწყვილა თითოეული.

ფრონტოგროშოვანი ბალტიის ფლოტის მფრინავებმა ჩასძირეს მოწინააღმდეგის ტრანსპორტი და დაზიანეს ტრალერი.

* * *

ორიოლის ოლქის ერთ-ერთ რაიონში მოქმედი პარტიზანული რაზმი ღამით თავს დაესხა გერმანელთა ქვეგანაყოფის განლაგებას. გააფთრებულ ბრძოლაში პარტიზანებმა გაელიტეს ერთ ასეულამდე ჰიტლერელი, დასწვეს 60 კასრი ბენზინი, 47 ავტომანქანა და 26 მოტოციკლი, ხელთ იგდეს დაკლა, მათ შორის: 9 ტყვიამფრქვევი, 70 ზაშხანა და ბევრი სხვადასხვა სამხედრო ქონება.

ᲓᲔᲙᲔᲜᲨᲔᲑᲘ

ᲰᲔᲚᲘᲡ ᲡᲘᲢᲧᲕᲐ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲔᲠᲗᲘᲗᲔᲑᲣᲚᲘ ᲨᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲐᲠᲔᲝ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ

ᲜᲘᲣ-ᲘᲝᲠᲙᲘ, 13 სექტემბერი (საკადისი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანმა ჰელმა რადიოთი წარმოსთქვა სიტყვა უცხო ერების მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების ნაციონალური პოლიტიკის საფუძვლების შესახებ. ჰელმა თავის სიტყვაში განაცხადა, რომ ამერიკელ ერს „განზრახვა აქვს შეასრულოს თავისი როლი სხვა ერებთან ერთად, რომლებიც მშვიდობიანობისაკენ მიისწრაფვიან, რათა დაეხმაროს ომით განაწამებ მსოფლიოს მოიშუშოს ჭრილობები“.

შემდეგ ჰელი შეჩერდა ომისშემდგომი ორგანიზებული საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემაზე.

ᲛᲣᲡᲝᲚᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲪᲔᲑᲐ ᲰᲘᲯᲦᲠᲘᲐᲜᲔᲑᲘᲡ ᲛᲘᲔᲠ

ᲟᲔᲜᲔᲕᲐ, 14 სექტემბერი (საკადისი). ბერლინში ოფიციალურად გამოცხადდა, რომ შეიარაღებულმა გერმანელმა პარაშუტისტებმა „სს“-ელებთან ერთად გაათავისუფლეს მუსოლინი სპატბროდან, სადაც იგი მოთავსებული იყო ბადოლიოს მთავრობის განკარგულებით.

ცნობაში ამტკიცებენ, თითქოს მუსოლინი გერმანელმა პარაშუტისტებმა წაიყვანეს იმ დღის წინ, როცა ბადოლიოს მთავრობა აპირებდა გადაეცა იგი მოკავშირეთა ჯარების სარდლობისათვის.

ლონდონი, 14 სექტემბერი (საკადისი). როგორც რეიტერის საგენტო გადმოგვცემს, ლონდონში უარყოფენ ცნობას იმის შესახებ, თითქოს მუსოლინი გერმანელთა მიერ მისი მოტაცების მომენტში ყოფილიყოს კუნძულ სიცილიაზე. ლონდონში ოფიციალურად განაცხადეს, რომ მუსოლინი არასოდეს არ ყოფილა მოკავშირეთა ხელში, არც იმ მომენტში, როცა ის გერმანელებმა წაიყვანეს. ლონდონში არაფერი იციან იმის შესახებ, თუ სად არის მუსოლინი.

ᲑᲠᲘᲒᲐᲓᲘᲡ ᲯᲠᲔᲓᲣᲜᲘᲝᲜᲔᲑᲘᲡ 75-Ე ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲘᲡ ᲘᲚᲘᲢᲧᲕᲐ ᲨᲘᲜ ᲙᲝᲜᲒᲠᲔᲡᲛᲐ ᲓᲐᲐᲛᲗᲐᲕᲐᲠᲐ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ

ᲚᲝᲜᲓᲝᲜᲘ, 12 სექტემბერი (საკადისი). ბრიტანეთის ტრედუნიონების 75-ე კონგრესზე 7 სექტემბერს სიტყვა წარმოსთქვა ინგლისის შრომისა და ნაციონალური ბედნიერების მინისტრმა ბევინმა.

8 სექტემბერს კონგრესმა განიხილა ბევინის სიტყვა, აგრეთვე მთელი რიგი საკითხები სამხედრო წარმოებისა და ახალგაზრდობის განათლებისა.

კონგრესის სხდომაზე სიტყვა წარმოსთქვა საბჭოთა პროფკავშირების დელეგაციის წევრმა ამხ. ეუფოვამ, რომელმაც დაასურათა სსრ კავშირის ქალების როლი ომის წარმოებაში. ამხ. ეუფოვამ ინგლისელ ქალებს მოუწოდა იმუშაონ კიდევ უფრო ენერგიულად.

კონგრესზე გამოსულმა ამერიკის შრომის ფედერაციის წარმომადგენელმა ნეგლერმა ვერაფერი ჰპოვა იმაზე უკეთესი, რომ თავის სიტყვაში ახალი ბალოლაშქრება მოეხდინა საბჭოთა პროფკავშირების მისამართით.

9 სექტემბერს ტრედუნიონების კონგრესის გენერალურმა მდივანმა სიტრინმა „კონგრესზე სიტყვა წარმოსთქვა ინგლის-საბჭოთა პროფკავშირული კომიტეტის მესამე სესიის მუშაობის შესახებ, რომელიც მიმდინარეობდა მოსკოვს ამა წლის ივნის-ივლისში. შეეხო რა საკითხს, თუ რატომ არ მიიღო ინგლის-საბჭოთა პროფკავშირულ კომიტეტში მყოფმა ინგლისის დელეგაციამ საბჭოთა დელეგაციის წინადადება მეორე ფრონტის შესახებ, სიტრინი ცდილობდა ყოველნაირად გაემართლებინა ინგლისის დელეგაციის პოზიცია. (როგორც ცნობილია, ინგლისის დელეგაციის წინადადება ამ საკითხზე განისაზღვრებოდა საკმაოდ გაურკვეველი იმედებისა და ლურვილების გამოთქმით, საბჭოთა დელეგაციის წინადადებისაგან განსხვავებით, რომელიც დაჟინებით მოითხოვდა, რომ აუცილებელია შეიქმნას მეორე ფრონტი მიმდინარე წელს და ინგლის-საბჭოთა პროფკავშირულმა კომიტეტმა ამ მხრივ გარკვეული ვალდებულებები იკისროს). თავისი პოზიციის დასასაბუთებლად სიტრინი ასეთი განცხადებით გამოვიდა. თავისი სიტყვის დასასრულს მან კონგრესს აცნობა, რომ ამერიკის ფლოტი გენუაში იმყოფება და რომ, ვითომ, ქალაქებიბულოონსა და დიუნკერკს შორის, ლა-მანშის საფრანგეთის სანაპირზე, დიდი კომბინირებული ოპერაციები სწარმოებს (საზღვაო ბრძოლები და დესანტები). მოისმინეს რა ეს ინფორმაცია, რომელიც მოკავშირეთა შეიარაღებული ძალების მიერ მაშინ წარმოებულ მანევრებს საბრძოლო მოქმედებად ახასიათებს, მთელი რიგი პროფკავშირების დელეგაციებმა გადასწყვიტეს, რომ მეორე ფრონტის მოთხოვნა უკვე აღარ არის აქტუალური. ამასთან დაკავშირებით მოხსნილ იქნა მეხანძრეთა პროფკავშირის შესწორება, რომელიც მოითხოვდა მეორე ფრონტის სასწრაფოდ გახსნას. სიტრინმა ამნაირად მიაღწია მისთვის სასურველ რეზოლუციას მეორე ფრონტის საკითხში. მაგრამ თავის შემდგომ გამოსვლაში, 10 სექტემბერს, სიტრინმა სთქვა: ჩემი პირადადელი განცხადება იმიტომ გავაკეთე, რომ თვითონ არასწორი ინფორმაცია მივიღე მთელი რიგი წყაროებიდანო.

ტრედუნიონების კონგრესის გენერალური საბჭოს ახალ თავმჯდომარედ მომავალი წლისათვის არჩეულია მაღაროელთა ფედერაციის გენერალური მდივანი ედვარდსი.

მოქმედი არმია (სევსკის რაიონი). მძიმე ნაღმსატყორცნის მეძებნე გვარდიის სერჟანტი დავით ვასილის-ძე ყიფიანი საქართველოს სსრ ქარაგლის საშუალო სკოლის ყოფილი მასწავლებელი, დაჯილდოებულია მედლით „მამაცობისათვის“. მძიმე ნაღმსატყორცნმა დაახიანა მტრის 2 ტანკი, 5 ავტომანქანა, 3 სატყვიამფრქვეი წერტი და მოსპო მოწინააღმდეგის 1 ასეულამდე ჯარი.

ფოტო კ. ლაშოსი
(საკადისის ფოტოქრონიკა).

ᲬᲘᲗᲔᲚᲘ ᲐᲠᲛᲘᲘᲡ ᲛᲮᲐᲒᲕᲠᲚᲘ ᲛᲝᲛᲡᲐᲮᲣᲠᲔᲑᲐ

ამიერ-კავკასიის ფრონტის ქართული ნაწილების მხატვრული მომსახურებისათვის ხელოვნების საქმეთა სამმართველომ შედგინა 5 მხატვრული ბრიგადა, რომლებშიც შედიან რუსთაველის, მარჯანიშვილის, ოპერის თეატრებისა და ფილარმონიის წამყვანი მსახიობები. ყოველ ბრიგადაში შედიან აგრეთვე ორი მხატვარი და ორი მწერალი. თითო ბრიგადა ჯარის ნაწილებში მოაწყობს 15.30 კონცერტს და კონსულტაციას გაუწევს წითელარმიელთა თვითმოქმედ წრეებს. იგივე ბრიგადები მოემსახურებიან ჯარების ნაწილებს ოქტომბრის დღეებში.

ღია კონცერტების მოსაწყობად იგზავნება ფილარმონიის მსახიობთა 24 ბრიგადა, რომლებსაც დავალებული აქვთ წითელი არმიის ნაწილებში გამართონ საშეფო კონცერტები.

ბრიგადებმა წითელი არმიის ნაწილებისათვის უნდა მოაწყონ კონცერტები შემდეგ თემებზე: „სამშობლოს სიყვარული ქართულ პოეზიასა და მუსიკაში“, „კავკასიის ხალხები კავკასიისათვის ბრძოლაში“, „საქართველოს ხალხური მუსიკა“, „კომპოზიტორ ზაქარია ფალიაშვილის შემოქმედება“, „კომპოზიტორ დ. არაყიშვილის შემოქმედება“ (ავტორის მონაწილეობით), „რუსული ხალხური მუსიკა“, „რუს კომპოზიტორთა (გლინკა, ჩაიკოვსკი) შემოქმედება“, „წითელი არმიის ლეგენდები, სიმღერები და მარშები“.

წითელი არმიის ნაწილებში შემოქმედებითი ანგარიშებით გამოვლენ: ირ. აბაშიძე, ა. ვასაძე, ვ. ანჯაფარიძე, ე. სოხაძე, ნ. ცომაია, ლ. ბგანრამაძე, დ. გამრეკელი, თ. ჭიკვაძე და ქ. ჯაფარიძე.

წითელარმიელთა თვითმოქმედი წრეების დასახმარებლად გამოყოფილია მომღერალთა გუნდებისათვის 3 კონსულტანტი, ცეკვის წრეებისათვის—3 ქორეოგრაფი და თეატრალური წრეებისათვის—3 რეჟისორი.

ქუთაისის, ბათუმის და გორის თეატრებმა და სამუსიკო სასწავლებლებმა ადგილობრივ უნდა შეადგინონ რაიონებში ჰოსპიტლების მომსახურების გეგმა.

ᲒᲛᲘᲠᲘᲡ ᲫᲔᲒᲚᲘᲡ ᲞᲠᲝᲔᲥᲢᲘ

მოქანდაკენი ლ. მურავინი და მ. ლისენკო ამზადებენ ორგზის საბჭოთა კავშირის გმირის ა. მოლოდინის ძეგლის პროექტს. ძეგლი ვოროშილოვგრადში დაიდგმება.

„ლიტერატურა ი ისკუსტვო“.

ᲬᲘᲗᲔᲚᲐᲠᲛᲘᲔᲚᲗᲐ ᲑᲘᲑᲚᲘᲝᲗᲔᲙᲐ

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირმა დაადგინა გამოსცეს სერია ბროშურებისა წითელარმიელის ბიბლიოთეკის სახელწოდებით. ბროშურები მცირე ფორმატისა და მოცულობის იქნება (არა უმეტეს ერთი ფორმისა), მათში ასახული იქნება საქართველოს გმირული წარსული და ქართველი ხალხის მონაწილეობა სამამულო ომში.

25 სექტემბერს, დილის 9 საათზე, „კომუნისტის“ რედაქციაში მოწვეულია გაზეთ „კომუნისტის“
საკუთარ კორესპონდენტთა რესპუბლიკური თათბირი.
საკუთარი კორესპონდენტების დასწრება სავალდებულოა.
გაზ. „კომუნისტის“ რედაქცია.

პასუხისმგებელი რედაქტორი
Ვ. ᲮᲐᲢᲘᲐᲨᲕᲘᲚᲘ

სანიმუშოდ მოვუაროთ ციხრუსოვანთა ნარგავებს

მახარაძე („კომუნისტის“ სპეც. კორ.). რაიონის კოლმეურნეობები იბრძვიან საქ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის IX პლენუმის დადგენილების ურყევად შესრულებისათვის, რაიონის 40-ვე კოლმეურნეობაში, სადაც გაშენებულია ციტრუსები, გამოყოფილია სპეციალური ბრიგადები და რგოლები ამ კულტურათა მოვლისათვის. პლანტაციები და სანერგეები მეურნეობათა დიდ უმრავლესობაში წარმატებით მუშავდება. მთავრდება მეორე და ზოგან მესამე გათოხნა, გამოცელვა, მცენარეთა შეწამლვა. დათესილია წიწვიანი მცენარეები ქარსაფარებად 40-მდე კილომეტრზე დასარგავად, იწმინდება არხები, მიმდინარეობს მუნობა, მზადება ტრ